არასამეწარმეო „არაკომერციული" იურიდიული პირი

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება

სენაკი,ღვინჯილიას ქ.3.ა
ელ.ფოსტა senakisporti@gmail.com

ტელ: 0(413)221151
ს/კ 239893683
591902090

№53

14 ივლისი 2023 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვ. გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი, 12.07.2023 წლის N40-41231932 წერილის პასუხად გეგზავნებათ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში.

პატივისცემით:
გაერთიანების დირექტორი: ჯ. ლაშქარავა

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე, რომელიც მოიცავს სასპორტო სკოლასთან სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციების შექმნასა და მათი მეცადინეობების ორგანიზებულად კვალიფიციურად წარმართვას ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებლების მეშვეობით, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციას როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონისა და ქვეყნის მაშტაბით მოწვეული გუნდების მონაწილეობას, სპორტის სასახლეში ქვეყნის მაშტაბით მოწყობილი შეჯიბრებების ხელის შეწყობას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ღონისძიებათა ჩასატარებლად დარბაზის მომზადებაში, შეჯიბრების ორგანიზებულად წარმართვაში და ა. შ

2023 წლის იანვრიდან სასპორტო სკოლასთან შექმნილია 14 სახეობის 33 ჯგუფი, რომელშიც 578 ნორჩი სპორტსმენი იმაღლებდა მომზადების დონეს, მათ შორის ბ/ რომაულიჭიდაობის 4 ჯგუფი -69 აღსაზრდელით, კალათბურთის 3 ჯგუფი 96 - აღსაზრდელით, ძიუდოს 3 ჯგუფი 72 აღსაზრდელით, ჭადრაკის 2 ჯგუფი 49 აღსაზრდელით, რაგბის 2 ჯგუფი 36 აღსაზრდელით, კრივის /კუდო 5 ჯგუფი 81 აღსაზრდელით. კარატეს 3 გჯუფი 51 აღსაზრდელით, ტაეკვანდოს 4 ჯგუფი 46 აღსაზრდელით, ხელბურთის 1 ჯგუფი 16 აღსაზრდელით, მაგიდის ჩოგბურთის 1 ჯგუფი -16 აღსაზრდელით, მკლავჭიდის 1 ჯგუფი 6 აღსაზრდელით, სამბო 1 ჯგუფი 10 აღსაზრდელი ქართული ჭიდაობა 2 ჯგუფი 20 აღსაზრდელით.

ასევე გაერთიანებას აღრიცხული ყავს 18 წელს მომქმედი 28 სპორტსმენი და კოორდინაცია ეწევა მათ მომზადებას, შეჯიბრებებზე გაგზავნას და შესაბამისად დაფინანსებას საქართველოს ფარგლებში.

ჯგუფების საქმიანობას დღეის მდგომარეობით წარმართავს 26 მწვრთნელ-მასწავლებელი. ყველა მათგანს გააჩნია ზემდგომი სპორტული ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზია, ან შესაბამისი ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა, რომლითაც უფლება ეძლევათ აწარმოონ სამწვრთნელო-ამღზრდელობითი მუშაობა.

გაერთიანება სისტემატურად აწყობს შეჯიბრებეს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონის მაშტაბით და ეს შეჯიბრებები სულ უფრო მაშტაბური ხდება. მასში ადგილობრივ გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების ნაკრები გუნდები, „თბილისი , ქუთაისი, ბათუმი, ხულო, ფოთი,მარნეული, ზუგდიდი, სამტრედია, ოზურგეთი, ხობი, აბაშა, ბოლნისი, მარტვილი,ჩოხატაურიდასხვა.

2023 წლის 1-იანვრიდან 30 ივნისის მდგომარეობით ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მიერ დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები. კერძოდ:

- ნ. ჯანჯღავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში.
- თ. ვახანიას და შ. ჯავახიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კრივში
- გ. ტყებუჩავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში.
- შიდა ჩემპიონატი მოკლე ნარდში
- 26 მაისი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონოსძიებები
- დ. კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფესტივალი რაგბში.
- ტაეკვონ-დო-ს ღია ტურნირი

გარდა ადგილზე მოწყობილი ღონისძიებებისა, 2023 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით სენაკელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ქალაქებისა და რაიონებში მოწყობილ ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სენაკელი სპორტსმენები მონაწილეობენ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე: ბ/ რომაულ ჭიდაობაში, კარატე-დო-ში, კრივში, ჭადრაკში, ძიუდოში, ტაეკვანდო-ში, ხელბურთში და ა. შ

ბ/რომაული ჭიდაობა საქართველოს ეროვნული პირველობა
,პირველი ადგილი - გიორგი ჩხიკვაძე, მე-2 ადგილი ლუკა ოჩიგავა, მე-3 ადგილი ომიკო შენგელია.
ევროპის ჩემპიონატი ,,ბუქარესტში" მე-3 ადგილი გიორგი ჩხიკვაძე
საქართველოს პირველობა 15 წლამდელებს შორის მე-2 ადგილი ქვარცხავა გიორგი.

***ძიუდოში** საქართველოს ჩემპიონათი გოგონებს შორის 1 ადგილი ანანო კინწურაშვილი, მე-3 ადგილი ნინო ხუნჯუა.
საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის 1 ადგილი ალექსი გულუა, მე-3 ადგილი ცოტნე ჩიქობავა.
* **ჭადრაკში** საქართველოს ჩემპიონატი -მე-3 ადგილი გოგია ალექსანდრე.

***კრივში** საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის მე-3 ადგილები: თეფანია ლევანი, დავითაია ნიკოლოზი და პაპასკირი გულადი.

***კრივში** საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის მე-3 ადგილი ფარულავა გუგა.

***მაგიდის ჩოგბურთი** საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მე-2 ადგილი ფაცია დავითი.

***ტაეკვონ-დო** საქართველოს ჩემპიონატი პირველი ადგილები: ირაკლი ჭიჭინაძე, დავით საჯაია, ნიკოლოზ ასკურავა მე-2 ადგილი დავით სანაია ; მე-3 ადგილი კახაბერ რუსია, ანასტასია შუბლაძე და რუსუდან კახიანი.

აღნიშნული სპორტსმენები და მათი მწვრთნელ-მასწავლებლები წახალისდნენ შესაბამისი ფულადი ჯილდოთი.
აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული სპორტსმენების უმრავლესობა საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში არიან ჩარიცხულნი.

სენაკის სასპორტო გაერთიანების სპორტსმენებმა 2023 წელს მონაწილეობა მიიღეს 80 –ზე მეტ რესპუბლიკურ, საერთაშორისო და რეგიონალურ ტურნირებში, სადაც მიღებული აქვთ 150 მეტი საპრიზო ადგილები.

სასპორტო გაერთიანების კოლექტივის სერიოზულ წარმატებას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ დღეისათვის სპორტულ სექციებში მიმდინარე წელსა და წინა წლებში მიღწეული არა ერთი პრესპექტიული ნორჩი სპორტსმენი გვერიცხება, რომელთაც უკვე აქვთ საკმაო ხელშესახები მიღწევები სხვადსხვა ასაკოვან ჯგუფებში და მომავალში იმედის მომცემ სპორტსმენებად ჩამოყალიბდნენ.
ყოველივე ზემოთ აღნიშნული გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებლების: რამაზ კოკაიას, ამირან დავითაიას, ზურაბ დავითაიას, გიორგი დავითაიას, გელა ხარბედიას, უჩა ჯღარკავას, თეიმურაზ ნაჭყებიას, ილია ცაავას, გოჩა და გიორგი ვახანიების, გიორგი კემულარიას, მერაბ ჯღამაძის ზურაბ ლიფონავას,ელგუჯა გვასალიას, ელგუჯა ჩემიას, გია ლატარიას, მორის სანაიას, ელისო გურგენაძის, აბესალომ იოსელიანის,კობა ჩხიკვაძეს,თამაზ ხაფავას,შოთა კუჭავას,გოგიტა გოგიას,მალხა კილასონია, თორნიკე ქირია და ზაზა ხურცილავას ნაყოფიერი და მიზან მიმართული საქმიანობის შედეგია.

ა(ა)პ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას 2023 წლის იანვრის თვიდან საშტატო ნუსხით ერიცხება 55 საშტატო ერთეული და 4 შტატგარეშე ერთეული, აქედან: მწვრთნელ-მასწავლებელია 26 საშტატო ერთეული, ადმინისტრაცია 16 საშტატო ერთეული, ხოლო დანარჩენი 18 საშტატო ერთეული ტექნიკური მუშაკებია.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში სერიოზული ყურადღება ექცევა სახსრების სწორ და მიზანმიმართულ ხარჯვას. 2023 წლის დასაწყისში ნაშთი საკუთარი შემოსავლიდან გვერიცხებოდა 725 ლარი. 2023 წელს ბიუჯეტით გამოგვეყო 695100 ლარი და დაიგეგმა 4 ათასი ლარი საკუთარი შემოსავალი. 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შემოსულია საკუთარი შემოსავალი 2305 ლარი. 2023წლის I-ლი იანვრიდან 1 ივლისის მდგომარეობით ბიუჯეტის თანხიდან გახარჯულია 380595 ლარი. საკუთარი შემოსავლიდან 1200 ლარი, ნაშ 01.07.2023 წ-ის მდგომარეობით საკუთარი შემოსავალიდან 1830ლარი.

გაერთიანების დირექტორი: ჯ. ლაშქარავა

მთ. ბუღალტერი: თ. ქარდავა